შეთანხმების აქტი

ვანი,სოფ:სალომინაო

ერთი მხრივ, სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სალომინაოს საჯარო სკოლა (ს/კ 229728729), მისი უფროსის, როზა ერისთავის სახით და მეორე მხრივ, სს „სილქნეტი“ (ს/კ 204566978), წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მალხაზ ჟორჟიკაშვილის სახით, ვაცხადებთ, რომ ვმოქმედებთ ფიჭური სატელეფონო მომსახურების უწყვეტობის აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის №225 განკარგულების, ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000115) სატენდერო დოკუმენტაციის 6.10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად და ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება მასზედ, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 02 მარტიდან დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (CON170000115) №-6 ხელშეკრულება გაგრძელდეს ამავე ტენდერით გათვალისწინებული ტარიფებისა და პირობების შესაბამისად და შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„2.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 300(სამასი) ლარი.“;

2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„4.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 01 მარტიდან 2019-2020 წლის კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისა და პორტირების პროცედურების დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2019 წლის 30 ივნისისა, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.“;

3. ხელშეკრულების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 1 აგვისტომდე.“

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ზემოთხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები რჩება უცვლელი.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და წარმოადგენს მხარეთა შორის 2018 წლის 02 მარტს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (CON170000115) №-6 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
	კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი
როზა ერისთავი	მალხაზ ჟორჟიკაშვილი
_____	_____